ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 4

29 დეკემბერი, 2021 წელი

11:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერალ თემურ წიკლაურის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ოზაანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ოზაანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, იუნკერთა და გიორგი კვინიტაძის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ემირ ბურჯანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ემირ ბურჯანაძის V შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წარაფის სახელის მინიჭების შესახებ

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება საბურთალოს რაიონში მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერალ, თემურ წიკლაურის სახელის მინიჭებას. ეს საკითხი მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ თემურ წიკლაური, როგორც სახალხო

არტისტი სარგებლობდა მოსახლეობის დიდი სიყვარულით და პატივისცემით. კომისიამ კონსულტაციები გამართა თემურ წიკლაურის ოჯახის წევრებთან. განხილული იყო რამდენიმე ვერსია, მათ შორის იმ ქუჩების სახელდებაც, რომელიც იქნებოდა ის ქუჩა, სადაც ცხოვრობდა თემურ წიკლაური. საკითხის შესწავლის შემდეგ ქუჩის ალტერნატივა გამოირიცხა, რადგან თბილისშიც და კოჯორშიც, იქ სადაც ცხოვრობდა მომღერალი, ქუჩები იყო სახელდებული. თბილისში სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე იყო საუბარი, ხოლო კოჯორში იუნკერების ქუჩაზე. ოჯახთან კონსულტაციის გავლის შემდეგ შეთავაზება იყო უსახელო სკვერისა, რომელიც მდებარეობს ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან. ოჯახის წევრებმა კმაყოფილება გამოთქვეს და სამომავლოდ სკვერის კეთილმოწყობაზე და მემორიალის განთავსებაზე ისაუბრეს.

კომისიის წევრებმა გაითვალისწინეს თემურ წიკლაურის დამსახურება ქართული ხელოვნებისა და კულტურის წინაშე და საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მეორე, მესამე და მეოთხე საკითხები შეეხება ტექნიკურ საკითხებს, კერძოდ, სამგორისა და მთაწმინდის რაიონებში ჩიხებისა და შესახვევების განვითარებას. სამგორის რაიონში ოზაანის ჩიხის დამისამართებაზე კომისიას განცხადებით მომართა მოქალაქე მზია თოლორდავამ. აღნიშნული სახელდება დამისამართების პრობლემას მოუხსნის რამდენიმე ოჯახს.

მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭება ცხრა ძმა ხერხეულიძის I ჩიხის სახელი, ასევე მთაწმინდის რაიონში, წავკისში ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭება ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხებს, რომელთაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მეხუთე საკითხის განხილვისას, ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა მთაწმინდის რაიონში, კერძოდ კოჯორში სახელდებისას არსებული პრაქტიკის შესახებ, როდესაც კომისია ცდილობს პატივი მიაგოს კოჯორ-ტაბახმელათან გასაბჭოების წინააღმდეგ მებრძოლი და გმირულად დაღუპული იუნკერების სახელებს. ერთ-ერთი ასეთი იუნკერი იყო მაკარ ბურჭულაძე. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

მეექვსე საკითხის განხილვისას, სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სამგორის რაიონში ემირ ბურჯანაძის V შესახვევის სახელდების შესახებ. დამისამართდება რამდენიმე გეოგრაფიული ობიექტი. კომისიამ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ საკითხს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩის მიმდებარედ არსებული ქუჩისთვის წარაფის სახელის მინიჭებას შეეხება. სახელი შეირჩა მოსახლეობის სურვილით, რადგან თემატურია, ვინაიდან მიმდებარე ქუჩებიც ატარებს ყურძნის ჯიშის სახელებს.

სამდივნოს უფროსმა, მამუკა ბალიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან კარგი პრაქტიკა. „თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ღვინის და ვაზის კუთხით მნიშვნელოვანი წარსული და პოტენციალი გვაქვს, თუნდაც ტურისტისთვის, საცნობარო მონაცემებში ხვდება ინფორმაცია და კიდევ ერთხელ ხაზგასმული და დეკლარირებულია იმ ვაზის ჯიშების კეთილშობილი სახელები, რაც საქართველოს აქვს ისტორიულად."

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მეშვიდე საკითხს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ნუგზარ აფხაიძის, ავთანდილ შარვაძისა და აპოლონ ჯინჭარაძის ქუჩების სახელდების შესახებ. VI მოწვევის საკრებულოს პირობებში უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, შესაბამისად ამაზე გადაწყვეტილებას არ იღებს ახალი მოწვევის კომისია. კომისიის წევრებს ინფორმაცია მიეწოდათ იმის შესახებ, რომ ეს საკითხები იქნება დაინიცირებული.

კომისიის სხდომაზე ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს შესთავაზა მსჯელობა ჩუღურეთის ხიდისთვის გურამ დოჩანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. მამუკა ბალიაშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია თბილისში მდებარე ხიდების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თბილისში მდებარე ხიდების უმრავლესობა ატარებს მწერლებისა და პოეტების სახელებს, თუ არ ჩავთვლით ასი ათასი მოწამის სახელობის მეტეხის ხიდს. რაც შეეხება ჩუღურეთის ხიდს, სხვადასხვა დროს ერქვა მიხეილის, კარლ მარქსის, ზაარბრიუკენის სახელი, ხოლო 1994 წელს დაერქვა ჩუღურეთის ხიდი. ვინაიდან გურამ დოჩანაშვილი ჩვენი დროის ყველაზე დიდი მწერალია, პროფესიული საზოგადოება სრულიად იზიარებს მოსაზრებას, რომ ურბანულ მემკვიდრეობაში გურამ დოჩანაშვილის სახელს პატივი მიეგოს და დედაქალაქში არსებობდეს მისი სახელობის ხიდი, როგორც ჩვენი დროის ყველაზე დიდი მწერლის.

თინათინ ნიბლოშვილმა დააყენა ინიციატივა, რომ საკრებულოში გაიმართოს გურამ დოჩანაშვილისადმი მიძღვნილი საღამო. ჯერ კიდევ მწერლის გარდაცვალებამდე იყო ეს იდეა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მოესწრო და კარგი იქნება, თუ ხიდის სახელდება და გურამ დოჩანაშვილის საღამო ერთობლივად განხორციელდება.

კახაბერ ლაბუჩიძემ ისაუბრა ხიდის ისტორიის შესახებ. მან კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ხიდის მიმდებარედ არსებობდა მადათოვის კუნძული, რომლის ყველაზე დიდ ფრაგმენტს აკავშირებდა აღნიშნული ხიდი. იქვე იყო ხის კონსტრუქციები, სადაც ძირითადად ნათლისღების დღესასწაულზე ტარდებოდა ნათლობის რიტუალი. კახაბერ ლაბუჩიძე იმედს გამოთქვამს, რომ მოსახლეობა დადებითად შეხვდება აღნიშნულ სახელდებას, რადგან გურამ დოჩანაშვილი ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ გურამ დოჩანაშვილი ხშირად დაუნახავთ ამ ხიდზე.

მამუკა ბალიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ხიდმა ჩუღურეთის ხიდის სახელი ვერ დაიმკვიდრა, და იმედს გამოთქვას რომ მოსახლეობა მიიღებს ამ სახელდებას და დადებითად შეაფასებს.

ნინო ვარდოსანიძემ შემდეგ მსჯელობისთვის კომისიის წევრებს შესთავაზა საკითხი კონსტიტუციის ქუჩისთვის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ. გადარქმევის შემთხვევაში უნდა მოიძებნოს ალტერნატიული ქუჩა ან მოედანი, რადგან ქუჩას სახელი მიენიჭა 1938 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებთან ერთად ასევე იმსჯელა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ქუჩის შერჩევის საკითხზე და კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აქტიურად მიმდინარეობს გეოგრაფიული ობიექტის მოძიების პროცესი.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები დადებითად გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და საჯარო განხილვის მიზნით საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე